

თამარ მახარობლიძე

ზოგი რამ უცხო სიტყვათა შესახებ

ენის გამდიდრების ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა ახალი სიტყვების მიღება უცხო ენებიდან. ასეთი სიტყვები პირველ ეტაპზე რთულად იკიდებენ ფეხს. შემდგომში ზოგი ბარბარიზმად მიიჩნევა, ზოგი კი ბუნებრივად ამდიდრებს მასპინძელი ენის ლექსიკურ ფონდს. საერთოდ, ახალი სიტყვა მოაქვს ახალ რეალობას. ჩნდება საჭიროება და ჩნდება სიტყვა. თუ ამ ენაში არის შესაბამისი ლექსიკური ერთეული, ენა ცდილობს თავისი ფონდიდან დაფაროს გაჩენილი საჭიროებები, მაგრამ თუ ასეთი სიტყვა ენაში არ არის, მაშინ უფრო მკვეთრია ახალი სიტყვის როლი და ადგილი. აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირად ენას მოეპოვება ამ ახალი მნიშვნელობის შესაბამისი სათანადო ლექსიკური ერთეული, მაგრამ ახალი სიტყვა მაინც შემოდის და მკვიდრდება.

უცხო სიტყვათა ენაში შემოსვლა რთული ლინგვისტური პროცესია. აქ არის ორი ურთიერთსაპირისპირო გარემოება: ერთი მხრივ, ახალი ერთეულის მიღება ენის გამდიდრებაა და ეს აუცილებლობა მოაქვს არსებულ რეალობას. ამდენად, მისასაღმებელია ახალი სიტყვების ნაკადი ენაში და – მეორე მხრივ, კი ენა ივსება ბარბარიზმებით, სათანადო ანალიზის გარეშე ხდება ამა თუ იმ სიტყვის უკონტროლო გამოყენება მედიაში და ეს ხელს უწყობს ენის სიწმინდის შებღალვას. ცნობილი ფაქტია, რომ ერთი მხრივ, ენობრივი ნორმები აფერხებს სალიტერატურო ენის განვითარებას და მეორე მხრივ, ნორმის გარეთ არსებული ლექსიკა ქაოსური მიმართულებით განეფინება ენობრივ ქსოვილს. უცხო სიტყვათა ენაში შემოსვლის პროცესი უნდა აკონტროლოს კომპეტენტურ ენათმეცნიერთა ჯგუფმა და ამ ჯგუფის რეკომენდაციები უნდა იქნეს საყოველთაოდ გაზიარებული. აქვე საჭიროა „ენის სიწმინდის დაცვის“ ქსელური სისტემის შექმნა, რაც მოიაზრებს ამ რეკომენდაციების გავრცელებას ქართული ენის მომხმარებელთა ფართო სპექტრზე,

თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში, სადაც არსებობს ინტერნეტტელევიზიები და მრავალგვარი ტიპის მედია, საკმაოდ რთულია ენობრივი პროცესების გარკვეული კონტროლი. აქ აუცი-

ლებელია „სახელმწიფოებრივი“ აზროვნება. ქართული ენის მიმართ სახელმწიფოებრივი მიდგომა არის უმნიშვნელოვანესი მრავალი თვალსაზრისით. ამ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე წლის წინ „ლინგვისტური წერილების“ პირველ ნაწილში მე საზოგადოებას შევთავაზე „პროექტი ენის კანონის შესახებ“. ამ წერილში მე ვწერდი: „მოგეხსენებათ, თანამედროვე ქართული ენის განვითარებასთან დაკავშირებით ქვეყანაში არსებული პრობლემები არცთუ იოლი გადასაჭრელია. ყოველი ფეხის ნაბიჯზე ირღვევა სახელმწიფო ენის მთავარი სასიცოცხლო პირობა – მისი სიწმინდის დაცვა. ამ პრობლემის მიმართ ზერელე და გულგრილი დამოკიდებულება ვერ ჩაითვლება მამულიშვილურ პოზიციად. თუკი სამი ძირითადი ფაქტორი – მამული, ენა და სარწმუნოება – ჩვენი ერის წინსვლისათვის აუცილებელი ფუნდამენტია, უპრიანი იქნებოდა ამ საკითხისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა კანონიერად დაგვეფიქსირებინა.

მასმედიის წყალობით მკვიდრდება დამახინჯებული მეტყველება და აზროვნება (რამდენადაც მეტყველება გახლავთ აზროვნების პარალელური სისტემა). სამწუხაროდ, არ გაგვაჩნია ენის სიწმინდის დასაცავი ბერკეტები. მხოლოდ ცალკეულ სპეციალისტებს შეუძლიათ თავისი მოკრძალებული აზრის გამოთქმა ამა თუ იმ საშუალებით. ამას კი, გასაგები მიზეზების გამო, სანაადო რეაქცია ან შედეგი ვერ მოჰყვება.

ჩვენი ღრმა რწმენით, ენის სახელმწიფო კომისიასთან უნდა შედგეს თანამედროვე ქართული ენის სპეციალისტთა მუშა ჯგუფები, რომლებიც აღრიცხავენ მედიაში არსებულ შეცდომებს და გარკვეული რაოდენობის დარღვევის შემთხვევაში ამა თუ იმ მედიის ხელმძღვანელობას დაეკისრება სოლიდური ჯარიმის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. ეს იქნება სახელმწიფო კანონი, რომელიც დაადასტურებს ქართული ენისადმი სახელმწიფოებრივ მიდგომას. ბიუჯეტში შესული ამავე საჯარიმო თანხებიდან დაფინანსდება ზემოხსენებული მუშა ჯგუფები და მედიაშიც უკან მიიწვევენ ვითომდა უფუნქციობის გამო დათხოვილ სტილისტებს. გამოიყოფა კომპეტენტურ მეცნიერთა ჯგუფი, რომელიც იმუშავებს ახალი სალიტერატურო ნორმების გამოცემაზე. ამ წიგნის აუცილებლობა დიდი ხანია უკვე არსებობს და ამ კანონის მიღების შემთხვევაში ასეთ ლიტერატურაზე მოთხოვნა, ცხადია, გაიზრდება.

იმედს ვიტოვებ, რომ შესაბამისი ინსტიტუტები სათანადო პასუხისმგებლობით მოეკიდებიან ამ საკითხს და უმოკლეს დროში ვიხილავთ ამ კანონის მოქმედებით მოტანილ პოზიტიურ შედეგებს“.

წერილი აქვე სთავაზობდა დიანტერესებულ მკითხველს ამ პროექტის ფინანსურ სქემას და მოქმედების გეგმას:

„ენის სახელწიფო კომისიას დაეკისროს მუშა ჯგუფების შექმნა მასმედიაში ქართული ენის სიწმინდის დარღვევის აღსარცხავად. ამ ჯგუფების სახელფასო ფონდი შემოსული საჯარიმო თანხებიდან დაფინანსდება.“

ენის სახელწიფო კომისიას დაეკისროს მუშა ჯგუფების შექმნა თანამედროვე ქართული ენის სალიტერატურო ნორმების შეჯერებისა და გამოსაცემად მომზადების მიზნით.

ენის სახელწიფო კომისიას დაეკისროს ენის ნორმათა დარღვევის ფაქტების დახარისხება კატეგორიების მიხედვით და სათანადო საჯარიმო ტარიფების შემუშავება.

ენის სახელწიფო კომისიას დაეკისროს კონკრეტული იურიდიული პირის მიერ ენის სახელწიფო ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სასამართლოში საქმის აღძვრა, რასაც შესაბამისად უნდა მოჰყვეს ჯარიმის გაზრდა“.

სამწუხაროდ, ამ საკითხს დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა. იმედს ვიტოვებ, რომ ახლა მაინც უყურადღებოდ არ დარჩება ეს მნიშვნელოვანი თემა.

დასასრულ, შემოგთავაზებთ ჩვენი სამუშაო პროცესიდან უცხო სიტყვათა ანალიზის რამდენიმე მაგალითს:

დრესკოდი

ტერმინი „დრეს-კოდი“ წარმოიქმნა დიდ ბრიტანეთში, მაგრამ სწრაფად გავრცელდა მთელს მსოფლიოში. ყველაზე ხშირად მას იყენებენ ოფისში ტანსაცმლის ტარების წესების აღსანიშნავად.

თუმცა გაგება დრეს-კოდი უფრო ფართოა და შეიძლება აღნიშნავდეს ტანსაცმლის ტარების წესებს, დამოკიდებულს ადამიანის სოციალურ კლასზე, ღირებულებაზე, საქმიანობის სახეობაზე, ეროვნებაზე, რელიგიაზე, ოჯახურ მდგომარეობასა და ასევე სექსუალურ ორიენტაციაზე.

კომპანიის დრეს-კოდი წარმოადგენს ფირმის კორპორატიული კულტურის პირდაპირ გაგრძელებას და მისი ბრენდის მთავარ ნაწილს. კლიენტის ნდობა ორგანიზაციისადმი იწყება მისი თანამშრომლების მიმართ ნდობით, რომელთა გარეგანი სახე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამაში. დრეს-კოდი შექმნილია, პირველ რიგში, მომხმარებლებისათვის და არა თანამშრომლებისათვის.

ოქსფორდის ლექსიკონი ამ სიტყვას ასე განმარტავს:

1. როგორც წესი, დაწერილი და გამოქვეყნებული წესები, რომლებიც მიუთითებს ჩაცმის მანერებზე სკოლაში, ოფისში, კლუბში, რესტორანში და ა. შ.
2. პროფესიული ჩაცმულობის სტილი (მაგ. ჯინსები ან შორტები, სტანდარტული კოდია პროდიუსერის ტიპისთვის).

თარგამნი – ჩაცმის სტილი ან მანერა, ჩაცმულობა.

რეკომენდაცია:

დრესკოდი მივიჩნით ბარბარიზმად. სავსებით შესაძლებელია შესაბამისი ქართული სიტყვების გამოყენება – ჩაცმის სტილი ან მანერა, ჩაცმულობა.

სუროგატი

surrogatus – სხვის ნაცვლად მოთავსებული. 1. რისამე შემცვლელი, რომელსაც ნამდვილი საგნის, პროდუქტის მხოლოდ ზოგიერთი თვისება აქვს. 2. გადატ. ყალბი, ფალსიფიცირებული.

სინონიმებია – სანაცვლო, მაგიერი.

ოქსფორდის ლექსიკონი ამ სიტყვას ასე განმარტავს:

1. შემცვლელი პირი, განსაკუთრებით ერთი კონკრეტული როლით, ან ოფისში;
2. ქრისტიანულ (არა მართლმადიდებლურ) ეკლესიაში ეპისკოპოსის მოადგილე, რომელიც ანიჭებს ქორწინების ლიცენზიას;
3. (აშშ-ში) მოსამართლე პასუხისმგებელი პრობაციაზე, მემკვიდრეობასა და მეურვეობის საკითხებზე.

ვებსტერის ლექსიკონებში **სუროგატი** განმარტებულია შემდეგნაირად:

1. ნაწილობრივ შემცვლელი,
2. ყალბი.

დღევანდელ ქართულში ეს სიტყვა როგორც შემცველი (ანუ მისი თავდაპირველი მნიშვნელობით) აღარ გამოიყენება.

წარმოშობა:

მე-17 საუკუნის დასაწყისიდან შემოვიდა ლათინური *surrogatus*.

რეკომენდაცია:

ეს სიტყვა იძლევა კარგ საშუალებას ქართული დერივაციის ფარგლებში პოსტპოზიციური ფორმით „მაგიერი“. კარგი იქნებოდა ქართული წარმოების აღდგენა: მაგალითად, სურაგატი დედა იქნებოდა – დედისმაგიერი, ხორცის სუროგატი იქნება ხორცისმაგიერი (რაც ცხადია, ყალბია და არა ნამდვილი). რადგანაც ენაში უკვე მეტ-ნაკლებად დამკვიდრებულია ეს სიტყვა (განსაკუთრებით, კონკრეტულ სფეროებში), დასაშვებია მისი გამოყენება ქართული სიტყვების პარალელურად.

სეგმენტი

1. *მათემ.* წრის ნაწილი, რომელიც რკალითა და მისი ქორდითა შემოსაზღვრული; სფეროს ნაწილი, რომელიც გადამკვეთი სიბრტყით არის გამოყოფილი;

2. *ზოოლ.* ერთ-ერთი სიგრძივ განლაგებულ ნაწევართაგანი, რომლებისგანაც შედგება ზოგი ცხოველის (მაგ., ჭიაყელას) ორგანიზმი.

თანამედროვე ქართულში ამ სიტყვას აქვს უფრო ფართო მნიშვნელობა, ვიდრე მათემატიკურ ტერმინს.

საუკეთესო თარგმანია „ნაწილი“.

ოქსფორდის ლექსიკონი ამ სიტყვას ასე განმარტავს:

1. თითოეული ნაწილი, როგორც შეიძლება რამე დაიყოს;
2. დროის ნაწილი დათმობილი კონკრეტული სამაუწყებლო პუნქტისთვის, რადიოს ან ტელევიზიისთვის;
3. *გეომეტრ.* ფიგურის ნაწილი;
4. *ზოოლ.* ანატომიური ერთეული, რომელიც სხეულის დანამატებისგან შედგება და შეიძლება მისი დაყოფა;

5. *ვონეტ*. მეტყველების პატარა, მკაფიო ნაწილი (განსაკუთრებით ხმოვანთა და თანხმოვანთა ხმები, სტრესი ან ინტონაცია).

წარმოშობა:

ინგლისურში მე-16 საუკუნის ბოლოდან შემოვიდა ლათინური *segmentum*, ფორმიდან *secare*- დაჭრა. ზმნური ფორმით გამოიყენება მე-19 საუკუნიდან.

რეკომენდაცია:

რადგან ენაში უკვე მეტ-ნაკლებად დამკვიდრებულია ეს სიტყვა, შესაძლოა მისი პარალელური გამოყენება როგორც პროფესიული ტერმინისა (სხვადასხვა დისციპლინაში), თუმცა სიტყვა „ნაწილი“ სრულად ასახავს „სეგმენტის“ მნიშვნელობას.

სტიგმატიზაცია, სტიგმა

ძველ საბერძნეთში: მონის ან დამნაშავის სხეულზე დასმული დამლა.

ოქსფორდის ლექსიკონი ამ სიტყვას ასე განმარტავს:

1. დიდი სირცხვილის ან უკმაყოფილების ღირსად ცნობა;
2. სტიგმით მარკირებული.

სტიგმა – დამლა,

დამლადადებული – სტიგმატიზებული,

დამლის დადება – სტიგმატიზაცია, სტიგმატიზება.

წარმოშობა:

მე-16 საუკუნის დასასრულიდან შემოვიდა ფრანგული *stigmatiser* ან შუა საუკუნეების ლათინური *stigmatizare*, ბერძნული ფორმა *stigmatizein*, იგი მომდინარეობს ბერძნული ფორმიდან სტიგმა – *stigma*.

რეკომენდაცია:

რადგან ენაში უკვე მეტ-ნაკლებად დამკვიდრებულია ეს სიტყვა, შესაძლოა მისი პარალელური გამოყენება როგორც პროფესიული ტერმინისა. გთავაზობთ უფრო გაქართულებულ ვარიანტს,

რომელიც, ვფიქრობთ, უნდა დამკვიდრდეს „სტიგმატიზაციის“ პარალელურად – **სტიგმატიზება**.

დამლა არის სტიგმა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ქართულში **სტიგმა** აღიქმება, როგორც **ნიშანი** (თუმცა **დამლა** ნიშანია). ამ თვალსაზრისით თანამედროვე კორპუსია გადასახედი.

ვეტო – თარგმანია „ვკრძალავ“.

უცხოურ ლექსიკონებში განმარტებულია შემდეგნაირად:

1. სახელმწიფო სამართალში: აკრძალვა, რომელსაც ადებს ერთი სახელმწიფო ორგანო მეორის გადაწყვეტილებას; ბურჟუაზიულ ქვეყნებში ვეტოს უფლება ჩვეულებრივ აქვს სახელმწიფოს მეთაურს პარლამენტის გადაწყვეტილებათა მიმართ.

2. საერთაშორისო სამართალში: სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთაგან შემდგარი კოლეგიური ორგანოს (სადაც საკითხები წყდება ერთხმად) ერთ-ერთი წევრის განცხადება იმის შესახებ, რომ იგი წინააღმდეგია უმრავლესობის გადაწყვეტილებისა; ხორციელდება ხმის მიცემით.

წარმოშობა:

ადრეულ მე-17 საუკუნეში; ლათინური veto სიტყვასიტყვით ნიშნავს „მე ვკრძალავ“, რასაც სენატთან დაპირისპირებული რომის ტრიბუნები ყვიროდნენ / ამბობდნენ.

რეკომენდაცია:

ვეტო არის აკრძალვა. რადგან ენაში უკვე დამკვიდრებულია ეს სიტყვა, შესაძლოა მისი გამოყენება როგორც პოლიტიკური ტერმინის.

თიმი

ოქსფორდის ლექსიკონი ამ სიტყვას – *team* – ახასიათებს როგორც 1000 ხმირ სიტყვაში შემავალს და განმარტავს:

1. შეჯიბრებაში მონაწილეთა გუნდი,
2. ერთად მომუშავე ხალხი,

3. ეტლში ერთად შებმული ორი ან მეტი ცხოველი (ძირითადად ცხენები).

ძველ ინგლისურში შემოდის გერმანულიდან და უკავშირდება ინდოევროპული ძირის ლათინურ ფორმას.

რეკომენდაცია:

„თიმი“ უნდა მივიჩნიოთ ბარბარიზმად. არ არის ამ სიტყვის დამკვიდრების ენობრივი საჭიროება. ორი სიტყვა – ჯერ „გუნდი“ და მერე „ჯგუფი“ – შესანიშნავად მოიცავს ამ შინაარსს.

უცხო სიტყვათა ახალი ლექსიკონების შექმნის წინა პროცესი უნდა იყოს ზემოთ წარმოდგენილი ტიპის სამუშაოების ანალიზი. კომპეტენტურ ენათმეცნიერთა საერთო კრებამ უნდა განიხილოს ასეთი საკითხები და საბოლოო დასკვნები დადოს.

ლიტერატურა

მახარობლიძე 2009 – თ. მახარობლიძე, ლინგვისტური წერილები I. საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. ISBN 978-9941-404-50-4 თბილისი.

ჭაბაშვილი 1989 – მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი. თბილისი.

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=3>

Oxford Language Dictionaries on-line. Copyright © Oxford University Press 2007-2014

<http://global.oup.com/academic/product/oxford-english-dictionary-online-9780195216813?cc=ge&lang=en&>

[Merriam-Webster Online: Dictionary and Thesaurus](http://www.merriam-webster.com/)

www.merriam-webster.com/

www.webster-dictionary.org/

Tamar Makharoblidze

Towards the Foreign Lexical Units in Georgian

S u m m a r y

One of the main ways of enriching the language is to accept new words from foreign languages. The first stage is not very easy for such words. Some are considered as barbarisms, while others naturally enrich the host language lexical fund. Generally, the new reality brings new words. The need in each concrete case finds a word to expose the concrete demanded concept, and in case of zero space in the host language, the foreign migrant words appear.

The presented paper analyzes a few migrated words in Georgian displaying the proper recommendations concerning these new lexical units.